

## კონკურსი „ჩემპიონი შემფასებელი“

### კონკურსის მიზანი:

განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი ფინანსური რესურსის მოზიდვის ეფექტური საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს დანაზოგების ეფექტიან გადანაწილებას და ბიზნესისთვის კონკურენტულ გარემოს ქმნის. ბაზრის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა ინვესტორთა და ბაზრის მონაწილეთა ფინანსური განათლება და პროფესიონალიზმი. აღნიშნული პროექტის მიზანია ბაკალავრიატის სტუდენტებს გამოუმუშავდეთ საჭირო უნარ-ჩვევები საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას დამკვიდრებული და აღიარებული პრინციპების და კრიტერიუმების სწორად და თანმიმდევრულად გამოყენებისთვის. ინვესტიციის განხორციელებისას, მნიშვნელოვანია ინვესტორმა სწორად შეაფასოს აღნიშნულ კომპანიასთან დაკავშირებული რისკები, როგორც მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე ინდუსტრიისა და არსებული გარემოებების მიხედვით. კონკურსის მთავარი ამოცანა იმ უნარების განვითარებაა, რომლებიც საჭიროა კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობის შესაფასებლად.

### კონკურსის ხანგრძლივობა:

12.11.2018-დან – 25.12.2018-მდე

### განრიგი:

**26 ნოემბერი** : სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი უნდა დარეგისტრირდეს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, რისთვისაც ეროვნული ბანკის შესაბამის ელექტრონულ მისამართზე ([capitalmarket@nbg.gov.ge](mailto:capitalmarket@nbg.gov.ge)) უნდა გამოგზავნოს შესაბამისი განაცხადი (მიმართვა) შემდეგი მონაცემებით:

1. სახელი, გვარი (ჯგუფის შემთხვევაში თითოეული ჯგუფის წევრის სახელი და გვარი).
2. უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დასახელება, ფაკულტეტი რომელზეც სწავლობს სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ კურსზეა სტუდენტი (ჯგუფის წევრები);
3. საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი, იმეილი.

**25 დეკემბერი**: კონკურსში რეგისტრირებულმა სტუდენტებმა (ჯგუფმა) ეროვნული ბანკის შესაბამის ელექტრონულ მისამართზე ([capitalmarket@nbg.gov.ge](mailto:capitalmarket@nbg.gov.ge)) უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მოცემული აღწერილობის შესაბამისად მომზადებული კომპანიის დასკვნითი შეფასება (MS Word, PDF), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 გვერდს. წარმოდგენილი შეფასების მიხედვით, ეროვნული ბანკი შეარჩევს შემდეგ

ტურში გადასულ სტუდენტებს, რომლებმაც უნდა მოამზადონ საკუთარი შეფასების პრეზენტაცია დამატებით შერჩეულ ვადაში, რომლის თაობაზეც ეროვნული ბანკი მათ დამატებით მიაწვდის ინფორმაციას.

### **გამარჯვებულის გამოვლენა**

წარდგენილი შეფასებებისა და ჩატარებული პრეზენტაციების საფუძველზე, ეროვნული ბანკის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული ჟიური გამოავლენს გამარჯვებულს, რომელსაც მიეცემა შესაძლებლობა გაიაროს 2-თვიანი სტაჟირება საქართველოს ეროვნულ ბანკში.

### **კონკურსის აღწერილობა:**

კონკურსი საშუალებას მისცემს ბაკალავრიატის სტუდენტებს (ბიზნეს ადმინისტრირება, ფინანსები, ეკონომიკა) გამოავლინონ არამხოლოდ არსებული ფინანსური ანალიზისა და შეფასების ცოდნა და შესაძლებლობა, არამედ შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც შესაძლებლობას მისცემს მეტად განვითარდნენ პროფესიულად.

ბიზნეს ადმინისტრირების (ან სხვა შესაბამისი მიმართულების), მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტმა, ან ერთი და იგივე სასწავლო დაწესებულების სტუდენტისგან შემდგარმა ჯგუფმა (მაქსიმალური რაოდენობა 4), უნდა აირჩიოს არასაჯარო სტატუსის მქონე კომპანია, რომელთა ფინანსური ანგარიშგება ხელმისაწვდომია (მაგ: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის (SARAS) ვებგვერდზე) და მოახდინოს აღნიშნული კომპანიის ფინანსური და ხარისხობრივი ანალიზი ისე, რომ შესაძლებელი იყოს კომპანიის მზაობის შეფასება საჯარო შეთავაზებისთვის. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება იწვევს საწარმოთა სტატუსის შეცვლას და აქცევს მათ ანგარიშვალდებული საწარმოს კატეგორიაში. ანგარიშვალდებული საწარმოები ექვევნიან ეროვნული ბანკის რეგულირების ქვეშ და მათ მიმართ მოთხოვნებიც გაცილებით მეტია, ვიდრე კერძო კომპანიების მიმართ. ეს მოთხოვნები გაწერილია ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელ კანონმდებლობაში, რომელიც ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=704>). გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების შემთხვევაში კომპანია იძენს დამატებით ვალდებულებას მოზიდული სახსრების მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით და ასევე შეთავაზებისას დათქმული პირობების შესრულების თვალსაზრისით. კონკურსანტებმა კომპანიის მდგომარეობის ანალიზის დროს უნდა მოახდინონ სწორედ იმ გარემოებების შეფასება, თუ როგორ შეძლებს ფასიანი ქაღალდების ემიტენტი შეთავაზებისას დათქმული ამოცანების შესრულებას.

აღნიშნული შეფასება უნდა ფარავდეს სხვადასხვა კატეგორიის რისკებს, და უნდა მოიცავდეს კომპანიის საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზს, შესაბამისი ინდუსტრიისთვის დამახასიათებელ რისკებს, და კომპანიის ფინანსური

მდგომარეობის შეფასებას. სრულყოფილი ანალიზისთვის, საჭირო იქნება კომპანიის ზემოთჩამოთვლილი რისკებისა და ფინანსური მაჩვენებლების შეფასების შედარება სხვა, იმავე ინდუსტრიაში მოღვაწე მსგავს კომპანიებთან.

**ფინანსური ანგარიშგების შეფასებისას კონკურსანტმა უნდა მოახდინოს შემდეგი გარემოებების ანალიზი:**

- შეაფასოს კომპანიის მდგომარეობა ოთხ ძირითად ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით;
- კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, დაადგინოს ყველაზე მაღალი რისკის შემცველი ფინანსური ელემენტები;
- გამოთვალოს და გაანალიზოს კომპანიის ინდუსტრიისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტები;
- მოახდინოს ფინანსური ანალიზის შედეგად დადგენილი მთავარი საკითხებისა და რისკების იდენტიფიკაცია;

**კონკურსის მოსალოდნელი შედეგები:**

- კონკურსის მონაწილეები გაიღრმავებენ ცოდნას და შეიძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას საწარმოთა რისკების შეფასებისა და ფინანსური ანალიზის კუთხით;
- აიმაღლებენ ცოდნას excel-სა და ყველა სხვა პროგრამაში, რომელთაც გამოიყენებენ ანალიზისას;
- შეიძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას ინდუსტრიისა და კომპანიის კვლევებში;
- თეორიულ ცოდნას გამოიყენებენ პრაქტიკაში;
- გამოიმუშავენ როგორც დამოუკიდებელი, ასევე გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვმართონ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: [capitalmarket@nbg.gov.ge](mailto:capitalmarket@nbg.gov.ge)